

შეცდომების გასწორება

1. მორფოლოგიური შეცდომაა „ღმერთ შემოსილი“, უნდა იყოს **ღმერთშემოსილი**, რადგან ეს ერთცნებიანი კომპოზიტია (ზედსართავი სახელი), ერთ კითხვაზე მოგვიგებს (როგორი?) და მის ფუძეებს, ცალ-ცალკე აღბუღს, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვს.
2. მორფოლოგიური შეცდომაა „9-ე“, უნდა იყოს **მე-9**, რადგან **მე** თავსართით დაწყებული არაბული რიცხვითი სახელები დაირთვენ **მე** პრეფიქსს და არა ე სუფიქსს.
3. მორფოლოგიური შეცდომაა „ტაოკლარჯეთი“, უნდა იყოს **ტაო-კლარჯეთი**, რადგან ეს რთული გეოგრაფიული სახელი ორი სახელისგან შედგება (ტაო, კლარჯეთი), მათ შორის და კავშირის წარმოდგენით შეგვიძლია დავრწმუნდეთ დეფისის აუცილებლობაში.
4. სინტაქსური შეცდომაა „მამაო გრიგოლმა“, უნდა იყოს **მამა გრიგოლმა**, რადგან აქ საზღვრული მოთხრობით ბრუნვაში დგას და მისი ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ფუძედ უნდა იყოს წარმოდგენილი და არა წოდებით ბრუნვაში.
5. პუნქტუაციური შეცდომაა „მონასტრიდან გაქცეულ ძმებს თეოდორესა და ქრისტეფორეს დაედევნა“, უნდა იყოს „**მონასტრიდან გაქცეულ ძმებს, თეოდორესა და ქრისტეფორეს, დაედევნა**“, რადგან აქ სახელები დანართად არის წარმოდგენილი (ერთგვარ დანამატად). მათი ამოღებით წინადადების სინტაქსი არ დაირღვევა.
6. პუნქტუაციური შეცდომაა: „ჰაგიოგრაფი წერს „ეფრემ ყრმა...“, უნდა იყოს: „**ჰაგიოგრაფი წერს: „ეფრემ ყრმა...**“, რადგან წინადადებაში მოყვანილია ციტატა და მის წინ ორწერტილი იწერება.
7. პუნქტუაციური შეცდომაა: „როგორც ჩანს ეფრემი მართლაც...“, უნდა იყოს: „**როგორც ჩანს, ეფრემი მართლაც...**“, რადგან წინადადება ჩართულით იწყება (როგორც ჩანს) და ის მძიმით გამოიყოფა.
8. სინტაქსური შეცდომაა: „გამორჩეული მამა იყო, რათა მას ღვაწლი მიუძღვის...“, უნდა იყოს: „**გამორჩეული მამა იყო, რადგან მას ღვაწლი მიუძღვის...**“. ამ რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებული წინადადება არის მიზეზის გარემოებითი (და არა მიზნისა). მასთან უნდა ვიხმაროთ კავშირი რადგან და არა რათა (როგორც მიზნის დამოკიდებულ წინადადებაში).
9. სტილისტური ხარვეზი პარონიმია „დაუფასებელი ღვაწლი“, უნდა იყოს „**ფასდაუდებელი ღვაწლი**“, რადგან ამ კონტექსტში დაუნახავ შრომაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ისეთ ღვაწლზე, რომლის შეფასებაც შეუძლებელია.
10. სტილისტური შეცდომაა: „ამის გარდა“, უნდა იყოს: „**გარდა ამისა**“, ამ ჩართულ კონსტრუქციაში შესიტყვების გადაადგილება არ შეიძლება.

11. სინტაქსური შეცდომაა: „ამ გამორჩეულ მამის...“, უნდა იყოს: **„ამ გამორჩეული მამის...“**, რადგან ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელს მსაზღვრელად თუ ზედსართავი მოსდის, მას სახელობითი ბრუნვის **ი** დაერთვის.
12. მორფოლოგიური შეცდომაა „ეპიზოტი“, უნდა იყოს **„ეპიზოდი“**, რადგან ეს უცხოური სიტყვა ქართულში **დ** თანხმოვნით იწერება.
13. სტილისტური ხარვეზია: „ქართულმა ეკლესიამ წმინდანად მონათლა“, უნდა იყოს: **„ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა“**.
14. სინტაქსური შეცდომაა: „არაერთი მძიმე დღეები...“, უნდა იყოს: **„არაერთი მძიმე დღე...“**, რადგან არაერთი მრავლობითის აღმნიშვნელია და მასთან წინადადების წევრები მხოლობითში დგება.
15. მორფოლოგიური შეცდომაა „ავტოკეფალის“, უნდა იყო **„ავტოკეფალიის“**, რადგან ამ სახელის ფუძე ა-ზე მთვრდება, ნათესაობით ბრუნვაში **ა** მოიკვეცა და ფუძის ბოლო ასოდ დარჩა **ი**, რომელსაც დაემატა ბრუნვის ნიშანი **ი** და ნათესაობითში ორმა ერთნაირმა ხმოვანმა მოიყარა თავი.